ზაზა ალექსიძე

ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო

ძნელია წარმოიდგინო, რომ ქართლს არ შეხებია ის გააფთრებული ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა ქალკედონიტობასა და მონოფიზიტობას შორის მთელი V ს-ის მეორე ნახევრის მანძილზე მსოფლიო ეკლესიაში. მაგრამ ფაქტია, რომ წყაროებმა პირდაპირი ცნობები არ შემოგვინახეს ქართლში ქრისტიანული სექტების არსებობისა და ბრძოლის შესახებ. ამიტომ არ არის საკვირველი, თუ სპეციალისტები მათი კვალის აღმოსაჩენად ცდილობენ გამოიყენონ სულ უმცირესი მონაცემებიც კი და, ზოგჯერ აპრიორული მსჯელობით, აღადგინონ სავარაუდო ურთიერთობები. ამიტომ არის, რომ ჩვენი ისტორიოგრაფია სავსეა ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებით ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ VII ს-მდე განსაკუთრებით. ასეთი საკითხების რიცხვს პირველ რიგში ეკუთვნის V ს-ის 70-იანი წლების ქართლში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი ივ. ჯავახიშვილს დაკავშირებული აქვს ქართლში კათალიკოსობის დაწესებასთან და ათარიღებს 472—484 წლებით. მისი აზრით, საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შეჯახება ასახავდა ბრძოლას ქალკედონიანობასა (მიქაელი) და მონოფიზიტობას (ვახტანგი) შორის. ამ დებულების დასასაბუთებლად მკვლევარი იშველიებს შემდეგ არგუმენტებს: 1. მიქაელ მთავარეპისკოპოსი გვიანი ქართული ტრადიციის მიხედვით აქტიური ანტიმონოფიზიტი და ქალკედონური აღსარების მოღვაწეა; 2. ამიტომ, ბუნებრივია მისი მოწინააღმდეგე მონოფიზიტად მივიჩნიოთ, რადგანაც წყაროთა ჩვენებით მათ შორის შეტაკება რელიგიურ ნიადაგზე მომხდარა; 3. „506 წელს ქართულმა ეკლესიამ გაბრიელ კათალიკოსის მეთაურობით ალბანურ და სომხურ ეკლესიებთან ერთად გაერთიანებულ საეკლესიო კრებაზე მონოფიზიტობა ერთადერთ მართლმადიდებელ აღსარებად გამოაცხადა". ქართლში მონოფიზიტური მრწამსის ასეთი გაბატონება უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ვახტანგ გორგასალისა და მისი მომხრეების გამარჯვებასთან მიქაელ მთავარეპისკოპოსსა და მის თანამზრახველ ქალკედონისტებზე; 4. ვახტანგის მიერ 14 ახალი მღვდელთმთავრის ერთბაშად დასმაც თანამორწმუნეთა გასაბატონებლად გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ ადვილად აიხსნება ცნობა კათალიკოსისა და ეპისკოპოსების ხელის დასასხმელად ანტიოქიაში გაგზავნის შესახებ. „საკმარისია გავიხსენოთ, რომ 471, 475—

478 და 485—488 წლებში იქ პატრიარქად ისეთი თავგამოდებული მღვდელ-მთავარი იჯდა, როგორც ცნობილი პეტრე ფულონი იყო, შემდეგში ასურელ მონოფიზიტების მეთაურად გამხდარი"[1].

V ს-ის 70-იან წლებში ქართლში შექმნილი იდეოლოგიური სიტუაცია მთელს მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებთან კავშირში განიხილა ს. ჯანაშიამ. მისი აზრითაც, ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტი იყო ბრძოლა ქალკედონიტობასა და მონოფიზიტობას შორის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვახტანგ გორგასალი ქალკედონური მრწამსის მომხრე იყო, ხოლო მიქაელი მონოფიზიტურისა. ს. ჯანაშიას მთავარი არგუმენტი იყო შემდეგი მოსაზრება: ვახტანგ გორგასალი აქტიურ ანტიირანულ პოლიტიკას ვერ გაატარებდა, თუ არ დაუპირისპირდებოდა მონოფიზიტობას, რომელსაც მხარს უჭერდა ირანის ხელისუფლება. დვინის 506 წლის კრებაზე მონოფიზიტების გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ ვახტანგი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო (502 წ.)[2].

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა ორი საპირისპირო დებულება ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო. შემდგომში ეს საკითხები სპეციალურად აღარავის უკვლევია[3].

1. განვიხილოთ, რა საყრდენებს გვაძლევს ქართული ტრადიცია V ს-ის მეორე ნახევრის მანძილზე ქართლში შექმნილი რელიგიური სიტუაციის შესასწავლად.

ჯ უ ა ნ შ ე რ ი: „მ ე ფ ო ბ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ი":

არჩილ მეფის დროს, როდესაც ვახტანგ გორგასალი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ქართლში ეპისკოპოსი იყო „ვინმე მოგვ უსჯულო და შემშლელი წესთა სახელად მობიდან".

მობიდანის შემდეგ ეპისკოპოსი გახდა მიქაელი („ჰეშმარიტი ეპისკოპოსი"), რომელმაც თავისი წინაპრის ფარულად ნაწერი წიგნები „ყოვლისა საცთურებისა" დაწვა[4].

არჩილის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე დედოფალი საგდუხტ ეახლა თავის მამას სპარსთა მეფეს ბარზაბოდს და შეევედრა დაეტოვებინა ქართველნი ქრისტეს სჯულზე. ბარზაბოდი შეპირდა, რომ ძალას არ გამოიყენებდა, მაგრამ სააგიტაციოდ გამოაგზავნა ცეცხლის მსახურნი ბინქარან ეპისკოპოსის მეთაურობით. ბინქარანის ქადაგებამ წარჩინებულებზე გავლენა ვერ მოახდინა, „წვრილი ერი" კი „ მიიქცა მრავალი ცეცხლის მსახურებასა".

ბინქარანს წინ აღუდგა მიქაელ ეპისკოპოსი, რომელიც „ასწავებდა ყოველთა ქართველთა ს ჯ უ ლ ს ა ჰ ე შ მ ა რ ი ტ ს ა". მან მოახერხა, რომ შეენარჩუნებინა „წარჩინებულნი ქართველნი და ერიცა უმრავლესი". მიქაელი ყრმა მეფესაც ასწავლიდა „ყოველსა მცნებასა უფლისასა". ვახტანგმა „სიყრმითვე ღღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართველთა"[5].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 341—349.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 115—116, 292.

[3] ცალკეული შენიშვნებისათვის იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 97.

[4] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955, გვ. 142.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 144—146.

. როდესაც ვახტანგი 15 წლისა შეიქნა, მოაწყო დიდი ლაშქრობა „ოვსთა“ წინააღმდეგ. ჭაბუკმა მეფემ ორთაბრძოლაში გამოიწვია ოსთა გოლიათი თარხანი. შერკინების წინ ვახტანგმა მიმართა თავის ჯარს: „ეევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“. ქართველთა სპა მაინც „შეძრწუნებულნი და საკვლენი მწუხარებითა თ ვ ს-თ ვ ს ს ა ს ჯ უ ლ ს ა ზედა ეევედრებოდეს ღმერთსა“[6]. მეფემ ქრისტე ღმრთის შეწევნით მოიგო ორთაბრძოლები და მთლიანად ექსპედიციაც წარმატებით დაასრულა[7].

შემდეგი დიდი ლაშქრობა უკვე 23 წლის ვახტანგმა საბერძნეთის მიმართულებით მოაწყო. მის ლაშქარში ქართველთა გარდა „იყვნეს სპარსნი და სომეხნი“. გაერთიანებულმა არმიამ კონსტანტინოპოლამდე მიაღწია. ვახტანგმა შეამჩნია, რომ სპარსელები ბერძენ ეკლესიის მსახურებს კი არ ეტყვევებდნენ, არამედ კლავდნენ. მაშინ „ვახტანგ მეფემან ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა სპარსთა, რათა არავის ჰკვლიდნენ მოწესეთაგანსა“. ერთი მისი მთავარი არგუმენტი იყო: „ჩუენცა ვართ ს ჯ ულ ს ა ზ ე დ ა ბ ე რ ძ ე ნ თ ა ს ა აღმსაარებელსა ქრისტესა“[8].

გორგასალს ამ ლაშქრობაში თან ახლდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მოწაფე პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი. პეტრემ გადაწყვიტა ბერძნებსა და ქართველებს შორის მშვიდობა ჩამოეგდო. და, სხვათა შორის, ვახტანგს ასეთი სიტყვებითაც მიმართა: „მნებავს, რათა შენ მიერ აგზებული ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღემდე იყავ სპარსთა“[9]. ძილში ნანახი ჩვენების შემდეგ ბიზანტიის კეისარი და ქართლის მეფე დამეგობრდნენ და დამოყვრდნენ კიდეც. გარდა ამისა კეისარმა ქართლის მეფეს კათალიკოსი და ეპისკოპოსებიც მისცა[10].

ვახტანგმა სამი წლის მანძილზე მათი საქართველოში ჩამოსაყვანად ვერ მოიცალა. მან განდევნა ბინქარანი სხვა ცეცხლის მსახურებთან ერთად და შეატყობინა კეისარს, რომ ეპისკოპოსად დასვა „მიქაელ, კაცი სარწმუნო“[11].

ვახტანგ გორგასალი არა მარტო თვითონ დაუმეგობრდა ბერძნებს, არამედ ისინი სპარსელებსაც შეარიგა[12]. თვითონ გაჰყვა სპარსეთის მეფეს ინდოეთსა და სინდეთს ლაშქრობაში და გამარჯვებაც მოაპოვებინა[13].

სამშობლოში დაბრუნებულმა გორგასალმა გზიდანვე აფრინა კაცი საბერძნეთს მეუღლის, პეტრე კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსის ჩამოსაყვანად. ეს რომ შეიტყო მიქაელ ეპისკოპოსმა, „იწყო რეცა ამბოხებად“, მეფეს გამაზდეანება დასწამა და დასწყევლა თავის სპასთან ერთად. ვახტანგი კონფლიქტს მოერიდა და ცხენიდან გადმოხტა ეპისკოპოსის ფეხის სამთხვევად. მიქაელმა ჰკრა კბილებში ფანდაკი და ჩამოაყრევინა. მაშინ მეფემ ცხადად გააგებინა ეპისკოპოსს რომ იგი ამას ქრისტიანობის დასაცავად კი არ აკეთებდა, არა-

---

[4] ქართლის ცხოვრება, გვ. 153.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 150—156.
[8] ი ქ ვ ე, გვ. 160.
[9] ი ქ ვ ე, გვ. 166.
[10] ი ქ ვ ე, გვ. 166—177.
[11] ი ქ ვ ე, გვ. 178—179.
[12] ი ქ ვ ე, გვ. 150—187.
[13] ი ქ ვ ე, გვ. 187—195

მედ შურით, როდესაც შეიტყო მასზე „უმთავრესისა ქართლად მოყვანება". „ვეცხლის მოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი" — მიმართა მას განრისხებულმა მეფემ და დასასჯელად კონსტანტინოპოლს გააგზავნა. მიქაელი ექსორია-ყვეს „მონასტერსა მღვიძარეთასა"[14].

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას გააგზავნა დასამტკიცებლად. ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა ქართლის კათალიკოსი და 12 ეპისკოპოსი[15].

სპარსელებთან უკანასკნელ ბრძოლაში ვახტანგ გორგასალი მძიმედ დაიჭრა. მისი საბოლოო სიტყვები ქართლის წარჩინებულთადმი იყო: „სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ"[16].

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ჯუანშერის მონათხრობიდან? ერთი რამ სავსებით ცხადია: ისტორიკოსი აშკარად ელინოფილია და მას სურს ასეთად გვაჩვენოს ვახტანგ გორგასალიც. ჯუანშერი შემთხვევით არ ათქმევინებს მეფეს, რომ ქართველები იმავე სჯულს ეზიარებიან, რასაც ბერძენნი. მართალია, ისტორიკოსი არსად არაფერს ამბობს შინაქრისტიანული სექტების შესახებ, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ იგი ამ სიტყვებში ზოგადად ქრისტიანობას არა გულისხმობდა. ამას იმიტომ ვვარაუდობთ, რომ ჯუანშერი ქართველებისა და სომხების რჯულით ერთობას არსად არ ახსენებს. პირიქით, ვახტანგმა სპარსელებსა და სომხებს ერთად მიმართა — ბერძენ ეკლესიის მსახურთ ხელს ნუ ახლებთ, მათ ქართველებთან საერთო რჯული აქვთო. ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ბერძნები და ქართველები ჯუანშერს ცალკე გამოუყვია და მათ მართლმადიდებლებად თვლის. ჯუანშერის თვალში კი მართლმადიდებლობა მხოლოდ ქალკედონიტობა შეიძლება იყოს. ამასთანავე, 472 წლამდე, როგორც ქართლში კათალიკოსობის დაწესებას ათარიღებენ, ბიზანტიის ოფიციალური კურსი ქალკედონური იყო.

მაშასადამე, არავითარი საყრდენი ჯუანშერთან ვახტანგ გორგასალის მონოფიზიტობის სამტკიცებლად არ მოიპოვება. არ არის, აგრეთვე, სავარაუდო, რომ ვახტანგი სპარსეთში სალაშქროდ ყოფნის დროს გადაიხრებოდა მონოფიზიტობისკენ, ვინაიდან ამ ხანებში სპარსეთი მხარს უჭერდა ნესტორიანობას და აარა მონოფიზიტობას. ასე რომ მიქაელ ეპისკოპოსის ბრალდება ვახტანგ გორგასლისადმი („დაგიტეევებიეს ქრისტე და ცეცხლსა ესავ") უნდა პირდაპირი მნიშვნელობით (უკეთ—ცილისწამებად) გავიგოთ და მასში რომელიმე ქრისტიანული სექტის მიმდევრობას ვერ დავინახავთ.

მაგრამ ვინ იყო მიქაელ ეპისკოპოსი თავისი მრწამსით? ჯუანშერისთვის არც ის არის მწვალებელი. ისტორიკოსი მას ხან „სარწმუნოს" უწოდებს და ხან „ჭეშმარიტ ეპისკოპოსს". მიქაელი ჯუანშერს წარმოდგენილი ჰყავს როგორც

---

[14] ქართლის ცხოვრება, გვ. 196—197.

[15] იქვე, გვ. 197—199.

[16] იქვე, გვ. 203.

„წესის შემშლელ“ ეპისკოპოსთა წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი, რომ არაფერი ვთქვათ მისი მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ამრიგად, ჯუანშერის მიხედვით, არავითარი წინააღმდეგობა მეფესა და ეპისკოპოსს შორის მრწამსის საკითხებში არა ყოფილა (პრინციპულად განსხვავებულს ამ საკითხთან დაკავშირებით არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იძლევა[17], ამიტომ მას ჩვენ აღარ განვიხილავთ). ჯუანშერი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ კონფლიქტი გამოიწვია მიქაელში შურის გრძნობამ, კათალიკოსის მოყვანის განზრახვა რომ შეიტყო. ვფიქრობთ, ჯუანშერის მოტივი ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებული და საკმარისია. სხვა მიზეზების ძებნა ჩვენს ინტიმური მომენტებით ისედაც ღარიბ ისტორიას კიდევ უფრო გააღარიბებს. ამრიგად, შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ი თ კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ს ა ხ ს ნ ა მ ი ს ა ღ ე ბ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს, მაგრამ როგორ დაიბადა თვითონ ეს შური? რატომ მოისურვა მეფემ „სარწმუნო“ და „ჭეშმარიტი“ ეპისკოპოსის შეცვლა ტახტზე? ვფიქრობთ, ამის ასახსნელადაც მოეპოვება ჯუანშერს საკმარისი მინიშნება: ვახტანგმა ხომ ეპისკოპოსს „ვეცხლისმოყუარე“ და „ქრისტეს მეგუადრუცე“ უწოდა. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა ბრალსა სდებს ჯუანშერი მიქაელს. ქრისტეს მეგუადრუცე იუდა ისკარიოტელი იყო. მას ებარებოდა ის ჩანთა („გუადრუცი“), რომელშიც ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად ფულს ინახავდა გლახაკთათვის დასარიგებლად[18]. შემდეგში იგივე დანიშნულება მიიღო საეკლესიო სალარომ (ყულაბამ). მაგრამ იუდა „მპარავი“ იყო და ფულს ითვისებდა. ამრიგად, ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ გ ა ს ა ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო ქ ო ნ ე ბ ი ს მ ი თ ვ ი ს ე ბ ა ს დ ებ ს ბ რ ა ლ ა დ. ჩანს, ჯუანშერამდე მოაღწია იმ საუკუნეობრივი ბრძოლების დასაწყისის გამოძახილმა, რომელიც მიმდინარეობდა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის. შესაძლოა, მანიქეველობისა და მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი სიმდიდრე და ავტორიტეტი მოუხვეჭა ქართლის ეპისკოპოსს და ვახტანგის ღონისძიება მის შესაცვლელად ამით იყო გამოწვეული.

ახლა ვნახოთ სხვა წყაროებით თუ გვაქვს შესაძლებლობა, გავაკონტროლოთ ჯუანშერის რწმენა მიქაელ ეპისკოპოსის მართლმადიდებლობის გამო. ამისათვის საჭირო იქნება განვიხილოთ ორი (ქართული და სომხური) ლეგენდა ვინმე პეტრე ეპისკოპოსის შესახებ.

X ს-ის სომეხმა ისტორიკოსმა უხტანესმა ქართლში მოისმინა და მოკლედ ჩაიწერა ლეგენდა ვინმე პეტრეს შესახებ, რომელსაც ქართველები მეტსახელად „მგელს“ უწოდებენ. ლეგენდის მიხედვით, პეტრე მოუკლავთ ქართველ მთავრებს კანგარის მთაზე[19].

უხტანესის ცნობით ირკვევა, რომ ქართლში პეტრეს ვინაობის შესახებ განსხვავებული აზრები ყოფილა. ერთნი ამბობდნენ, რომ გადმოცემა ეხება პეტრე ანტიოქიელს, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ პეტრე ანტიოქიელი და საეკლესიო განხეთქილების (VII ს-ის დამდეგი) მონაწილე მონოფიზიტი პეტრე ერთი და იგივე პიროვნებაა. უხტანესმა გადაჭრით უარყო მეორე ვერსია. მისი

---

[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 93.

[18] იოანე, 12. 6, 13, 29.

[19] უ ხ ტ ა ნ ე ს ი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, § 59.

აზრით, „მგელს“ ბერძნები უწოდებდნენ პეტრე ანტიოქიელს, ხოლო მას საეკ-ლესიო განხეთქილების მონაწილე პეტრესგან მთელი 150 წელი აშორებს. უხტანესი მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიასაც იძლევა: პეტრე ანტიოქელი მარკიანე კეისრის (450—457) თანამედროვე იყო, ხოლო მეორე პეტრე — მავრიკეს (582—602). უხტანესის არგუმენტაცია პრინციპში სწორია, ოღონდ მცირე დაზუსტებას მოითხოვს: მარკიანე-მავრიკეს წყვილის მაგიერ ორი პეტრეს მოღვაწეობის თარიღები ზონარისა (474—591) და ფოკას (602—610) ზეობით უნდა განისაზღვროს.

ჩვენამდე მოაღწია ქართულმა ლეგენდამ პეტრე მკაწვრალის შესახებ რო-გორც ცალკე თხზულების სახით[20], ისე ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით[21]. ლეგენდის ანარეკლი შემონახულია აგრეთვე ეფთიმე გრძელისა და სოსთენეს გაპაექრებაში[22]. მისი შინაარსი ასეთია: კონსტანტინოპოლის პატრიარქის საყდარი ეკავა „წმიდა, უბიწო და მართალ“ კაცს, სახელად პეტრეს. ერთ-ერთი ჟამის წირვის დროს პატრიარქს წმიდა ბარძიმი სისხლით აევსო. გამოირკვა, რომ წმიდა საიდუმლო შეურაცხყო დედოფალმა, რომელსაც „შეემოხვია არაწმიდება ბუნებითისა წესისაებრ დედათასა“. „განძვნებულმან“ პატრიარქმა „დაკრულა“ დედოფალი, რის გამოც იგი გააძევეს კონსტანტინოპოლიდან. პატრიარქყოფილი აუმხედრდა საერთოდ ბერძნულ რჯულს, წავიდა სომხეთში და იწყო მონოფიზიტობის ქადაგება... შემდეგში მან ანტიოქიის პატრიარქის საყდარიც დაიკავა, თუმცა იქიდანაც მალე გააძევეს. პეტრე დაბრუნდა კვლავ სომხეთში და მოინდომა მიქაელ ქაროლის კათალიკოსის გამონოფიზიტებაც. იგი წამოვიდა ქართლში, გაჩერდა კანგარის ციხასთან და გამოუძახა ქართლის კათალიკოსს მისი რჯულის საზიარებლად ან საყდრიდან გადასაყენებლად. მიქაელი მოჩვენებით დაეთანხმა. შეკრიბა ეპისკოპოსები, მღვდლები და მორწმუნე საერონი. ყოველ მათგანს ფარულად ქუდში ქვა ედო. ასე მიეახლნენ ქართველი სამღვდელონი პეტრე მკაწვრალს. პეტრემ გაუწოდა მიქაელს სამთხვევად თავისი შესამოსელის სახელო, მიქაელმა დაითრია იგი, დააგდო მიწაზე და დასცა ქვა თავში. კათალიკოსს მიბაძეს დანარჩენებმა და ასე ჩაქოლეს „მგელი იგი“. მონოფიზიტებმა მოინდომეს ღამე გაეთიათ წამებულის გვამთან, მაგრამ ღმერთმა მათ ეშმაკები გამოუცხადა მგლის სახით.

როგორც ვხედავთ, ქართული ტრადიციისათვის ცნობილია მხოლოდ მიქაელ კათალიკოსის მიერ კანგარის მთასთან პეტრე ანტიოქიელის ჩაქოლვის ვერსია. სხვაგან ჩვენ უკვე ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ XII—XIII სს-ის სომეხი ისტორიკოსების თხზულებებში დაცული ლეგენდა პეტრე ეპისკოპოსის აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ ქართლში გამოგზავნისა და აქ მისი ჩაქოლვის შესახებ უხტანესის შემდეგ არის გაჩენილი[23]. ქართლში, ეტყობა, X ს-ში უკვე არსებობდა გადმოცემა პეტრე ანტიოქიელის კანგარის მთასთან მოკვლის შესახებ, რომლის მიხედვითაც პეტრე ანტიოქიიდან სომხეთში გაიქცა, ხოლო სომ-

---

[20] „პეტრეს მკაწრვალისაჲ და ალაჯისათჳს თხრობაჲ“: Л. Меликсет-Беков, Грузинский извод сказания о посте «Араджавор», ХВ, 1917, V, в. II, стр. 89—96; იხ. აგრეთვე, „საქართველოს სამოთხე“, გვ. 629—633.

[21] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 101, შენ. 1.

[22] საქართველოს სამოთხე, გვ. 618.

[23] იხ. უხტანესი, გვ. 403—409.

ხეთიდან ქართლში ჩამოვიდა. სომხეთიდან მისი ქართლში ჩამოსვლის ისტორია მოისმინა, ჩანს, უხტანესმა, როცა იგი თბილისსა და ცურტავში საეკლესიო განხეთქილების შესახებ მასალებს ეძებდა და დაუკავშირა იმ პეტრეს რომლისადმი წერილიც დაცული იყო „ეპისტოლეთა წიგნში“ და რომლის ვინაობაც მისთვის უცნობი იყო. მიუხედავად ასეთი კონტამინაციისა, უხტანესი მაინც კრიტიკულად მოეკიდა მისსავე ვერსიას, გვიანი ხანის ისტორიკოსებმა კი მის შენიშვნებს ყური აღარ ათხოვეს და პეტრე ანტიოქიელის შესახებ არსებული ქართული ლეგენდა მთლიანად პეტრე ეპისკოპოსზე გადაიტანეს.

ამრიგად, ლეგენდა ვინმე პეტრეს ქართლში ჩაქოლვის შესახებ უკავშირდება პეტრე ანტიოქიელსა და მიქაელ ქართლის მთავარეპისკოპოსს. ძალიან წააგავს ჯუანშერის მიერ აღწერილ მიქაელს ლეგენდის მიქაელი ფიცხი ბუნებითაც. პეტრე მკაწვრალის მკვლელი მიქაელი კი, ლეგენდის მიხედვით, აქტიური ანტიმონოფიზიტი და ქალკედონიტი მოღვაწეა. ამრიგად, არაგვაქვს არავითარი საფუძველი მის მონოფიზიტად ჩასათვლელად.

მაგრამ ლეგენდა ხომ მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის ბრძოლას ასახავს! მაშ, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ბრძოლა წარმოებდა V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში? არა, ვინაიდან ლეგენდაში პეტრე ანტიოქიელისა და მიქაელის შეხვედრა სრულიად გამოგონილია. პეტრე ანტიოქიის პატრიარქი გახდა 471 წელს, ხოლო 472 წლის ახლოს მიქაელი უკვე აღარ იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი. პეტრე ანტიოქიელი 488 წელს გაიქცა ანტიოქიიდან და იმავე წელს დაიღუპა. მიქაელი კი უკვე თითქმის ოც წელს აღარ იყო სამოღვაწეო ასპარეზზე და, ალბათ, კარგა ხნის გარდაცვლილიც იქნებოდა. გარდა ამისა, სომხურ საეკლესიო წრეებში არსებობდა კიდევ უფრო ძველი ვერსია პეტრე ანტიოქიელის ორი დიაკვნითურთ კანგარის მთასთან მოკვლის შესახებ, ოღონდ ეს ვერსია ქართლთან არაფრით არ იყო დაკავშირებული[24]. ასე რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსის მრწამსის შესახებ ჩვენ ნამდვილი არაფერი ვიცით და მხოლოდ ტრადიციის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ. ტრადიცია კი ვახტანგ გორგასალსა და მიქაელს მართლმადიდებლებად მიიჩნევს.

2. შევხედოთ ახლა ქართული წყაროების ჩვენებათა გათვალისწინებით საერთაშორისო ასპარეზზე რელიგიურ სიტუაციას და ვნახოთ, რამდენად მყარი შეიძლება იყოს ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას არგუმენტები ამ თვალსაზრისით.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, პეტრე ფულონი ანუ მკაწვრალი ანტიოქიის პატრიარქის საყდარზე იჯდა 471, 475—478, 485—488 წლებში. დასკვნების სიზუსტისათვის ამ ქრონოლოგიას დღეს ასეთი კორექტივი დასჭირდება: პეტრემ 471 წელს დაიკავა ანტიოქიის პატრიარქის საყდარი მაგრამ ქალკედონიტებმა იმავე წელს დაამხეს. ამ თავგამოდებულ მონოფიზიტს მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ ბოლო წუთს „მღვიძარეთა“ მონასტერში გამოკეტვით შეუცვალეს. (საყურადღებოა, რომ ჯუანშერის მიხედვით მიქაელ მთავარეპისკოპოსიც სწორედ ამ დროს იქნა იძულებით შეყენებული „მღვიძარეთა“ მონასტერში კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბრძანებით, თუმცა კი მისი საქციელი სიკვდილით

---

[24] Գիրք թղթոց. გვ. 328; Грузинский извод. გვ. 101. შდრ. Ն. Ակինեան, Կիւրիոն կաթողիկոս Վրաց. გვ. 271; Հ. Անանյան, Հայոց անձնանունների բառարան. IV. გვ.242.

დასჯის ღირსად უცვნიათ). 475 წელს ბიზანტიის იმპერატორის ტახტი მცირე ხნით ხელში ჩაიგდო უზურპატორმა ბასილისკმა, რომლის ანტიქალკედონურ ღონისძიებებში პირველი ადგილი ეკავა გადაყენებული მონოფიზიტი იერარქების უფლებებში აღდგენას. ასე ავიდა პეტრე ფულონი ანტიოქიის საყდარზე ხელმეორედ, თუმცა მისი ზეობა კვლავ ხანმოკლე გამოდგა. 476 წელს ზენონ კეისარმა ბასილისკი ჩამოაგდო ტახტიდან და ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინი დაიბრუნა. ზენონის მოღვაწეობის პირველი პერიოდის დამახასიათებელია აქტიური პროქალკედონური პოლიტიკა. მან დაუყოვნებლივ აღადგინა ეკლესიაში ბასილისკამდელი მდგომარეობა, რასაც, ცხადია, ანტიოქიაში ქალკედონიტების გამარჯვება და პეტრეს დამხობა მოჰყვა შედეგად. მესამედ და საბოლოოდ პეტრეს ანტიოქიის საყდარი ეკავა 485—488 წლებში[25].

ზემომოცემული თარიღებიდან პირველი (471) და ბოლო (485 — 488) მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან ივ. ჯავახიშვილის სრულიად დამაჯერებელი მსჯელობით, კათალიკოსობა ქართლში უნდა დაწესებულიყო 472—434 წლებს შორის. ამრიგად, იმ სავარაუდო 12 წლიდან, რომლის მანძილზეც შეიძლებოდა ანტიოქიაში ხელდასასხმელი პირები გაეგზავნათ, ათ წელზე მეტი ქალკედონიტი პატრიარქების ზეობაზე მოდის, ხოლო მონოფიზიტ პეტრე მკაწვრალს სულ დიდი წელიწადნახევარი რჩება. ვახტანგ გორგასალი მონოფიზიტი რომ ყოფილიყო, ამ ხნის მანძილზე უნდა მოესწრო არა მარტო ანტიოქიის საყდარზე მონოფიზიტი პატრიარქის ასვლის შეტყობა, არამედ ხელდასასხმელი იერარქების გაგზავნაც. თავისთავად ინფორმაციის გავრცელებისა და მიმოსვლის მაშინდელი საშუალებების გათვალისწინებით, ასეთი ვარაუდი უკვე სერიოზულ ეჭვს იწვევს. გარდა ამისა, ჯუანშერის მიხედვით. კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქებს შორის სრული თანხმობა და კეთილი ურთიერთობა სუფევს, რაც 472—482 წლებში შესაძლებელია მხოლოდ ქალკედონიტობის ნიადაგზე. 472—489 წლებში კონსტანტინეპოლის პატრიარქია აკაკიუსი, რომელმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია უზურპატორ ბასილისკის პრომონოფიზიტურ პოლიტიკას და მისი ჩამოგდების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორიც გახდა. აკაკიუსმა არა მარტო მიაღწია პეტრე ანტოქიელის ტახტიდან გადაყენებას, არამედ მასთან ურთიერთობა თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდშიც არ აღუდგენია, როდესაც იგი ზენონ კეისართან ერთად დაადგა შემარიგებელურ პოლიტიკას (482 წ.).

ამრიგად, ალბათობა ვახტანგ გორგასლის ურთიერთობისა ანტიოქიის მონოფიზიტ პატრიარქთან ძალიან მცირეა და წინააღმდეგობაში ექცევა წყაროთა სხვა მონაცემებთან. ხოლო ქართულ წყაროთა ტრადიცია ვახტანგის ელინოფილური პოლიტიკის შესახებ, ქალკედონიტობის საწინააღმდეგო აქციებით ვერ აიხსნება.

მეორე მხრივ, ვერც ვახტანგის ანტიირანულ პოლიტიკას და მის აქტიურ მონაწილეობას კავკასიაში 484 წელს დაწყებულ აჯანყებაში ჩავთვლით მისი ანტიმონოფიზიტობის ცხად გამომხატველად. სწორედ 484 წლის წინა პერიოდი არის ირანის ქვეშევრდომი ქვეყნების ქრისტიანებში ნესტორიანობის გამარჯვების მოსამზადებელი პერიოდი. 484 წლიდან მას მხარს უკვე სამეფო ხელისუფ-

[25] Das Konzil von Chalkedon, 1962, II, გვ. 261—265, 954—955.

ლებაც უჭერს და იწყებს მონოფიზიტების დევნას[26]. ასე რომ, ვახტანგ გორგასალს თუ სურდა ანტიირანული პოლიტიკა რელიგიის საკითხებისათვის დაეკავშირებინა, ანტიმონოფიზიტობა მას ამ პერიოდში სრულიად არაფერს მისცემდა.

3. როგორც ზემოთ ვნახეთ, დვინის 506 წლის კრება ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას მიაჩნდათ კავკასიაში მონოფიზიტობის სრული გამარჯვების თარიღად, თუმცა პირველი ამ გამარჯვების დასაბამს ვახტანგ გორგასლის მიერ მიქაელ მთავარეპისკოპოსის დამარცხებაში ხედავდა, ხოლო მეორე — ვახტანგის გარდაცვალებაში. უკვე ეს გარემოება მოწმობს, რომ დვინის 506 წლის კრების შედეგების არგუმენტად გამოყენება ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კონფლიქტის შეფასებისას წინასწარ განწირულია. ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა შესაძლებლობა გვეცადა დაგვესაბუთებინა, რომ დვინის 506 წლის კრება მთელს ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შემარიგებელი ღონისძიებების ერთ-ერთი გამოვლენა იყო, მთლიანად ბიზანტიის ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და არავითარი კავშირი არა ჰქონდა ირანთან.

ამრიგად, არა გვაქვს არც ერთი ისეთი ცნობა, რომელიც მხარს დაუჭერდა ვახტანგ გორგასლის მიქაელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტის დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის ბრძოლით ახსნას. უფრო მეტიც, ქრისტიანობის შიგნით მიმდინარე სექტანტურ პოლემიკას არავითარი კვალი არ დაუტოვებია ამ ხანის თანადროულ ერთადერთ და უმნიშვნელოვანეს ძეგლზე — „შუშანიკის მარტვილობა". ამ ძეგლის სრული ნეიტრალობა აღნიშნული ბრძოლის მიმართ ჩვენ ირიბი მითითება გვგონია იმაზე, რომ V ს-ის მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ რ ი ს ქ ა რ თ ლ ში შ ი ნ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ულ ი დ ო გ მ ა ტ ი კ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს ა კ ა მ ა თ ო ა რ ა ყ ო ფ ი ლ ა. ქვეყნის მთავარი საზრუნავი ირანისა და მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლა გამხდარიყო. ანალოგიური ვითარებაა მეზობელ სომხეთშიც. თუმცა V ს-ის შესახებ სომხური წყაროები გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე ქართული, მათი კრიტიკული შესწავლა სომხეთის მიმართაც ამავე დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

---

[26] ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1973, § 3, გვ. 155